განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა)„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის N714 განკარგულების შესაბამისად გადასახდელებში შემცირდეს 130 100 ლარით შემდეგი სამუშოები: სოფელ გლოლაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 14 250 ლარით, ქალაქ ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეებში არსებული გარე განათების დეკორატიული სანათების ბოძების დამიწების მოწყობის სამუშაოები 16 074 ლარით, ქ. ონში გარე განათების რეაბილიტაცია 11 400 ლარით, შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის უზუნთა-საჩხერე-შქმერი-ონის მონაკვეთზე გადასახედის მოწყობა 21 638 ლარით, ქ.ონში სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა 14 038 ლარით, სოფელ უწერაში საკანალიზაციო სისტემის დასრულების სამუშაოები 7 417 ლარით, სოფელ ჭიორაში მინი სტადიონის მოწყობაზე 22 080 ლარით, სოფელ ნაკიეთში მინი სტადიონის მოწყობაზე 23 203 ლარით, სულ 130 100 ლარი დაიგეგმოს ქ.ონში აგრარული ბაზრის (III ეტაპი) სამუშაოზე.

2) შემცირებული იქნას ტენდერებიდან დარჩენილი ეკონომიებით შემდეგი სამუშაოები: სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის თანადაფინანსება 501 ლარით; ქ.ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკის კეთილმოწყობის დასრულების სამუშაო 830 ლარით; სოფელ შეუბნის ადმინისტრაციული შენობისათვის გარე კანალიზაციის სეპტიკის მოწყობა 487 ლარით; ქ. ონში გიგა ჯაფარიძის ბულვარში ატრაქციონის შეძენა - მონტაჟი 8 460 ლარით; ქ.ონში ადგილ „ნაგუთებში“ ასანიზაციის ორმოს მოწყობის სამუშო 1 504 ლარით; სამხატვრო სკოლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის შენობის რეაბილიტაციიდან 2 463 ლარით; სოფელ ჭიორაში სანიაღვრე არხის მოწყობა 4 221 ლარი; ამოღებული იქნას უპატრონო ცხოველების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება 10 000 ლარი.

სულ გსაწერი თანხა 28 466 ლარი დაიგეგმოს: ა) წილობრივი თანამონაწილეობით ქ.ონში აგრალური ბაზრის მშენებლობა III ეტაპი 6 847 ლარი; ბ) მინი ფეხბურთის ჩემპიონატი სლოგანით „არა ნარკოტიკს“ 4 990 ლარი; გ) ანსამბლი „ქართული ხმები“-ს მუსიკალური პროექტის დაფინანსება 4 000 ლარი; დ) წარმატებული სპორტსმების დახმარება 3 600 ლარი; ე) მერიის შენობაში მეორე სართულზე ოთახის მოწყობის ხარჯი 5 429 ლარი; ვ) ონის საბავშვო ბაღის შენობის აბონენტად აყვანის ხარჯი 3600 ლარი. სულ 28 466 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 24 244 993 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი